საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბრაჰამ კრეტაცი, კრეტელი

აბრაჰამ კრეტაცი, კ რ ე ტ ე ლ ი (გ. 1737), სომეხი ისტორიკოსი, სომეხთა კათოლიკოსი 1734–37.

მისი *თხზ.* „ისტორიოგრაფია“ ეხება 1734–36 ამბებს. აღწერილია ირან-ოსმ. ომი, ირანის პოლიტიკა სომხეთის მიმართ, სომხ. და მეზობელი ქვეყნების *პოლიტ.* და ეკონ. ცხოვრება, შეხვედრები ნადირ-შაჰთან. იგი შეესწრო თბილისში ნადირ-შაჰის შემოსვლას და მის მიერ მოქალაქეთა შევიწროებას. მისი გადმოცემით ნადირ-შაჰი თბილისში 17 დღე დარჩა და ბრძანა „არასაიმედონი“ ირანში გაერეკათ.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი ლ., ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941.

გ. მაისურაძე